




პირველადი ჯანდაცვის განვითარების ეროვნული გენერალური გეგმა



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

2006 წელი

შინაარსი

1.	პჯდ სისტემის ოპტიმიზაციის მეთოდოლოგიის განხილვა.....	10
1.1.	რეგიონებში გამოყენებული GIS ოპტიმიზაციის პროცესი	10
1.2.	GIS მოდელის დაშვებები.....	12
1.3.	მეთოდოლოგიის მისადაგება რეგიონების თავისებურებებთან.....	12
1.4.	« მიღწევის პერიოდის » როგორც ოპტიმიზაციის პარამეტრის შეზღუდვები	
1.5.	რაციონალიზაცია ქალაქებში.....	14
2.	რეკომენდაციები პირველადი ჯანდაცვის ქსელის განვითარებასთან დაკავშირებით	17
2.1.	რეგიონებში ოპტიმიზაციის პროცესის შედეგები	17
2.2.	სტრატეგია თბილისისათვის	18
2.2.1.	მიდგომები გადაწყვეტილების მიღებისა და გენერალური დაგეგმვისთვის	
2.2.2.	პრინციპები, ალტერნატივები და სტრატეგია	21
2.2.3.	თბილისის სტრატეგიის გამოყენება და ოპტიმიზაციის რეკომენდაციები	26
2.3.	პრიორიტეტების განსაზღვრა	32
2.4.	პრიორიტეტების დადგენის ალტერნატიული მეთოდოლოგია GIS-ის გამოყენებით	33
3.	რეკომენდაციები სისტემის ფუნქციონირებასა და მენეჯმენტთან დაკავშირებით	34
3.1.	პირველადი ჯანდაცვის ცენტრის მომსახურების გაწევის ორგანიზაცია	34
3.1.1.	პერსონალით დაკომპლექტებისა და მომსახურების გაწევის ორგანიზაცია	34
4.	დასკვნითი დებულებები.....	36

დანართი I: ოპტიმიზებულ დაწესებულებათა ნუსხა / კადრების რაოდენობა რეგიონების მიხედვით.

დანართი II: ოპტიმიზაციის ვარიანტები რეგიონების მიხედვით.

დანართი III: აღჭურვილობის ნუსხა პჯდ დაწესებულებისათვის.

დანართი IV: პჯდ დაწესებულების არქიტექტურული გეგმა.

ცხრილები

- ცხრილი 1 ქალაქები, რომელთა მოსახლეობის რიცხვი აღემატება 30,000–ს და რომლებშიც არსებობს პირველადი ჯანდაცვის მომსახურების გამწევი რამდენიმე დაწესებულება;
- ცხრილი 2 დასახლებები, რომელთა მოსახლეობის რიცხვი ნაკლებია 30,000–ზე და რომლებსაც გააჩნია პირველადი ჯანდაცვის მომსახურებათა გამწევი რამდენიმე დაწესებულება;
- ცხრილი 3 პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა რეკომენდებული რაოდენობა რეგიონების მიხედვით;
- ცხრილი 4 ოპტიმიზაციის შედეგად დაწესებულებათა რეგიონული განაწილება მომსახურების ორგანიზაციის ტიპის მიხედვით;
- ცხრილი 5 არსებული დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პირველადი ჯანდაცვის მომსახურებების მიწოდებას თბილისში;
- ცხრილი 6 პირველადი ჯანდაცვის მომსახურებების გენერალური დაგეგმვის სტრატეგიები თბილისისათვის;
- ცხრილი 7 პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები თბილისში : მათი განვითარების ალტერნატიული გზები
- ცხრილი 8 პირველადი ჯანდაცვის გუნდი: მიზანი;
- ცხრილი 9 პირველადი ჯანდაცვის კლინიკური პერსონალის განაწილება რეგიონების მიხედვით;

აკრონიმები

GIS	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა
GHSPIC	საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განხორციელების ცენტრი
IDP	იძულებით გადაადგილებული პირები
MoLH&SA	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
PHC	პირველადი ჯანდაცვა
TOR	სამუშაოთა აღწერილობა

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია პირველადი ჯანდაცვის განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2003-2005 წლებში მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის დახმარებით შეიმუშავა. გეგმა ემყარება პირველადი ჯანდაცვის არსებული ქსელის დეტალურ შესწავლასა და ანალიზს. იგი ადგენს პჯდ დაწესებულებების მდებარეობას და სამედიცინო პერსონალის თვისობრივ და რაოდენობრივი მახასიათებლებს, რაც აუცილებელია პირველად სამედიცინო მომსახურებაზე ოპტიმალური გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ანგარიშში წარმოდგენილია პჯდ ქსელის განვითარების გეგმები აჭარის, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე ჯავახეთის, ქვემო ქართლის, მცხეთს-მთიანეთის, შიდა ქართლის, კახეთისა და თბილისსთვის. იგი მოიცავს დეტალ ინფორმაციას პჯდ დაწესებულებების ოპტიმიზაციასთან, პერსონალით დაკომპლექტებასთან და აღჭურვასთან დაკავშირებით. დანართებში წარმოდგენილია რეკომენდებული პჯდ დაწესებულებების ჩამონათვალი, თითოეულისთვის კადრების საჭირო რაოდენობა, დაწესებულებათ ფუნქციურ-არქიტექტურული გეგმა და აღჭურვილობის სტანდარტული ნუსხა.

პჯდ სისტემის განვითარების გენერალური გეგმის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი პირველადი ჯანდაცვის თანამედროვე, მოქნილი სისტემის განვითარებაა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ბაზისურ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას. აღნიშნული სისტემის განვითარებისათვის უპირველესი ამოცანაა პჯდ განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება, რაც წინამდებარე დოკუმენტის არსს წარმოადგენს. პჯდ განვითარების გეგმის მიმოხილვამდე უპრიანია განვმარტოთ, თუ რას წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვა.

პირველადი ჯანდაცვა (პირველი დონის მომსახურება) – ეს არის ის აუცილებელი (ბაზისური) ამბულატორიული მომსახურება, რომელიც მიეწოდება მოსახლეობას საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეში ოჯახის ექიმის ან ზოგადი თერაპევტისა და პედიატრის მიერ პირველადი ჯანდაცვის გუნდთან ერთად, რომელსაც შეადგენენ ზოგადი პრაქტიკის ექთნები და (ან) ბებიაქალები. ეს ითვალისწინებს საექიმო კონსულტაციას, როგორც ამბულატორიულად, ასევე პაციენტის ბინაზე სამკურნალო, თუ პრევენციული მიზნით; ფუნქციურ- დიაგნოსტიკურ და ლაბორატორიულ გამოკვლევებს; მიმართვას (რეფერალს) მეორე ან მესამე დონის სამედიცინო დაწესებულებაში; რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის (მ.შ. ორსულთა მეთვალყურეობა, ოჯახის დაგეგმვა, სქესობრივად გადამდები დაავადებები, ბავშვთა ზრდა-განვითარებაზე მეთვალყურეობა); ტუბერკულოზის, გულ-სისხლძარღვთა და სხვა არაგადამდები ქრონიკული დაავადებების მართვის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებს; ასევე, საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისკენ მიმართული ღონისძიებები, როგორიცაა: მოსახლეობის ჯანმრთელობის საჭიროებების შეფასება; იმუნიზაცია; თემში ჯანმრთელობისთვის საშიში სიტუაციების გამოვლენა; ჯანმრთელობის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირება და განათლება; თემის მობილიზება ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლენისა და გადაწყვეტისთვის; ჯანსაღი ქცევის დამკვიდრება;

პირველადი ჯანდაცვის განვითარების გენერალური გეგმის ამოცანები

პჯდ განვითარების გენერალური გეგმის თანახმად:

ა) საქართველოს პირველადი ჯანდაცვის საფუძველს წარმოადგენს საოჯახო მედიცინა. პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო მომსახურების მთავარი მიმწოდებელი ოჯახის ექიმია, რომელიც თანამშრომლობს პჯდ გუნდის სხვა წევრებთან: ექთნებთან და ბებიაქალებთან.

ბ) პირველადი ჯანდაცვის დონეზე სამიზნე მოსახლეობასთან მიმართებაში სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების რაოდენობა განისაზღვრება ფინანსური, გეოგრაფიული და პროფესიული ფაქტორების გათვალისწინებით და შეადგენს¹:

- მცირედ დასახლებულ მაღალმთიან ადგილებში 1 ექთანს 250-1000 მოსახლეზე;
- ერთი ოჯახის ექიმისა და ექთნისაგან შემდგარ გუნდს 1000-2000 მოსახლეზე; იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 2000-ს დამატებითი პჯდ ჯგუფი ემატება ყოველ 1000-დან 2000 მოსახლეზე.
- თბილისში ერთი ოჯახის ექიმი და ექთანი ემსახურება 2400 მოსახლეს, ხოლო პირველადი

¹ National Master Plan for the primary health care system in Georgia, Final report, April 2006, Presented to GHSPIC, Ministry of Health

ჯანდაცვის ერთ ცენტრზე მიმაგრებულია, სულ მცირე, 20.000 მოსახლე.

- დიდ რეგიონულ ქალაქებში ცალკეული პჯდ ცენტრის სამიზნე მოსახლეობა, ჩვეულებრივ, არ აღემატება 30 000-ს, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დასაშვებია გამონაკლისები (მაგ. რუსთავეში, ერთ ცენტრზე მიმაგრებულია 60 000 მოსახლე).

დიდ ქალაქებში (ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი და ფოთი) 30000 მოსახლეზე ერთი ჯგუფური პრაქტიკის ჩამოყალიბების შემთხვევაში საჭიროა 17 პჯდ ცენტრი (ნაცვლად არსებული 29-ისა). რუსთავეში, გამონაკლისის სახით, ჩამოყალიბდება 2, ქუთაისში 5. ხოლო თბილისში 25 პჯდ ცენტრი.

ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე, სულ ჩამოყალიბდება 85 ექთნით/ზეზიარქალით დაკომპლექტებული სამედიცინო პუნქტი, 299 ერთი ექიმიტა და ექთნით, ხოლო 318 (მ.შ 25 თბილისში) ექიმისა და ექთნის რამოდენიმე გუნდით დაკომპლექტებული პირველადი ჯანდაცვის (საოჯახო მედიცინის) ცენტრი (სულ 701).

სამედიცინო პერსონალის საჭირო რაოდენობა შეადგენს 2106 ოჯახის ექიმს, 1970 ზოგადი პრაქტიკის ექთანს (მ.შ. 450 ექიმი და ექთან თბილისში) და 305 ექთან-ზეზიარქალს.

გ) პირველ დონეზე სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის აუცილებელი ფიზიკური ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა გაითვალისწინებს (ა) მომსახურების მიმწოდებლების ფუნქციონირების თავისებურებებს (ბ) პაციენტების საჭიროებებსა და უფლებებს (კონფიდენციალობა და კომფორტი) (გ) დადგენილ სამშენებლო-საინჟინრო სტანდარტებს (დ) ეკონომიკურ პარამეტრებს.

სამედიცინო აღჭურვილობის ნუსხა, რასაც პირველადი ჯანდაცვის დონეზე სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები გამოიყენებენ სრულ შესაბამისობაშია მათ პროფესიულ კომპეტენციასთან და არ ითვალისწინებს მაღალ-ტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ შესაძლებლობებს (მაგ. არტერიული წნევის საზომი აპარატი, სიმალლის მზომი და სასწორი, ელექტროკარდიოგრაფი, პიკვოლუმეტრი, ოტოსკოპი და ოფთალმოსკოპი).

დ) იყენებს რა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების შესაძლებლობებს და ქვეყანაში არსებული სიტუაციის დეტალური შესწავლის შედეგად მიღებულ ინფორმაციას, გენერალური გეგმა პჯდ ობიექტების ოპტიმალური მდებარეობას ადგენს 15 წუთიანი „მიღწევადობის პარამეტრის“ საფუძველზე. კერძოდ, პჯდ ორგანიზდება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ძირითად სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ოპტიმალური გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა: საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის (86%) პჯდ ობიექტამდე მიღწევა 15 წუთიანი ხელმისაწვდომობის ზონაში იქნება შესაძლებელი.

იმ მოსახლეობისთვის, ვინც ამგვარი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მიღმა რჩება შემოთავაზებულია ორი მიდგომა: ა) კონკრეტული დასახლებული პუნქტებისთვის მთაში და მიუდგომელ ადგილებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა მერყეობს 250-1000 ადამიანამდე შეიქმნას ექთან/ზეზიარქალი პოსტი (სამედიცინო პუნქტი), რომელიც უახლოესი საოჯახო მედიცინის ცენტრის ნაწილია. ამ დასახლებული პუნქტების სიას ადგენს და შესაბამისი ნორმატიული აქტით ამტკიცებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ან ბ) შეიქმნას მობილური პჯდ ბრიგადები, რომლებიც პჯდ მომსახურებას გასწევენ უახლოესი საოჯახო მედიცინის ცენტრიდან ადგილებზე გარკვეული პერიოდულობით ტრანსპორტირების რეჟიმში.

დამატებითი ინფორმაცია პჯდ სისტემის კომპონენტების განვითარების შესახებ

პჯდ მომსახურების ორგანიზაციის პრინციპები

პჯდ-ს მომსახურებას ქვეყანაში აწარმოებენ მხოლოდ ამბულატორიული ტიპის დაწესებულებები, რომლებიც მიეკუთვნებიან პირველ დონეს, კერძოდ:

- a. საექთნო/საბებიო პოსტი და/ან მობილური პჯდ ბრიგადა, რაც ორგანიზაციულად უახლოესი პჯდ ობიექტის ნაწილია (ფილიალი);
- b. ერთი ან რამოდენიმე პჯდ გუნდით დაკომპლექტებული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება სოფლად ან ქალაქის ტიპის დასახლებებში;

რაიონში ჰოსპიტალური მომსახურების არ არსებობის შემთხვევაში რაიონულ ცენტრში მდებარე პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში შეიქმნება დამატებითი შესაძლებლობები (როგორც ადამიანური რესურსის, ასევე ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის თვალსაზრისით) მოსახლეობისთვის გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად. გადაუდებელი დახმარების ერთეულის სამედიცინო პერსონალი გაივლის შესაფერის პროფესიულ მზადებას.

პირველადი სამედიცინო მომსახურების დაფინანსება

პირველადი სამედიცინო მომსახურება შედის „უნივერსალური პაკეტის“ ფარგლებში, რაც მოსახლეობას მიეწოდება უფასოდ და/ან მინიმალური თანაგადახდით, განურჩევლად საცხოვრებელი ადგილისა თუ ფინანსური მდგომარეობისა.

პირველადი ჯანდაცვის გუნდის მომსახურებაში მყოფ თითოეულ ადამიანზე გამოიყოფა წლიური თანხა (კაპიტაციის ან საბიუჯეტო მეთოდით). თავდაპირველად ეს თანხები განისაზღვრება მოსახლეობის გეოგრაფიული მოცვის არეალის საფუძველზე. ყოველი გუნდის დაფინანსება მოხდება პირველ ეტაპზე მოსახლეობის, ხოლო მეორე ეტაპზე რეგისტრირებულთა რაოდენობის მიხედვით. პაციენტების რეგისტრაციის სისტემის განვითარების შემდეგ, პაციენტებს საშუალება მიეცემა შეარჩიონ თავისი ოჯახის პრაქტიკოსთა ექიმების გუნდი, შესაბამისად, კაპიტაციური დაფინანსება მიიღწევა პაციენტზე. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს ექიმთა გუნდებს შორის კონკურენციას, რაც თავის მხრივ, აისახება მომსახურების დონის ამაღლებაში.

ფიქსირებული საბიუჯეტო (შრომის ანაზღაურების, კაპიტალური და სხვა სახსრების დასაფინანსებლად) მეთოდით დაფინანსებასთან ერთად ექიმთა ერთ გუნდზე გამოყოფილი იქნება დაფინანსება გაწეული მომსახურების მიხედვით, რომელიც გამოიყენება მომსახურებაზე გაწეული დამატებითი ხარჯების (ლაბორატორიული მომსახურება, მედიკამენტების ხარჯები და სხვ.) ასანაზღაურებლად.

პირველ ეტაპზე ინდივიდუალური პრაქტიკის ექიმების წახალისების მიზნით მათი შემოსავალი იქნება ფიქსირებული ხელფასი და შესრულებაზე დაფუძნებული დამატებითი თანხა პრემიის სახით.

„კაპიტაციის“ მეთოდით დაფინანსებაზე გადასვლის გეგმა:

- ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა თბილისის პჯდ დაწესებულებებში- 2007 წ;

- „კაპიტაციის“ მეთოდით დაფინანსებაზე გადასვლა თბილისი პჯდ დაწესებულებებში -2008 წ;
- „კაპიტაციის“ მეთოდით დაფინანსებაზე გადასვლა საქართველოს ქალაქებისა და დაბების პჯდ დაწესებულებებში -2009 წ;
- „კაპიტაციის“ მეთოდით დაფინანსებაზე გადასვლა საქართველოს ყველა პჯდ დაწესებულებებში -2010 წ;

პირველადი ჯანდაცვის განვითარების გენერალური გეგმის განხორციელების საჭირო ინვესტიციები

ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარება

717 ობიექტის რეაბილიტაციისა და აღჭურვისათვის საჭირო ინვესტიციის ოდენობა - 110 მლნ. ლარი (78 მლნ რეაბილიტაცია და 32 მლნ. აღჭურვა).

2006 წლის ბოლომდე გარემონტდება/აშენდება 165 პჯდ ობიექტი, რისთვისაც ინვესტიციის ოდენობა შეადგენს 21 მილიონ ლარს;

დონორული ინვესტიციის დაგეგმილი ოდენობა 2007 -2008 - 9 მლნ. ლარი;
სახელმწიფო ინვესტიციის ოდენობა 2007 შეადგენს – 19 მლნ ლარს;

2007-2008 წლებში პჯდ ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა შემუშავების ფაზაშია.

პჯდ ადამიანური რესურსების გადამზადება

2010 წლისთვის გადამზადებული იქნება 2200 ოჯახის ექიმი და ექთანი და 305 ექთანი/ზეზიუქალი; ასევე, საჭირო რაოდენობის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექიმები და ექთნები;

ამჟამად გადამზადებულია 450 ოჯახის ექიმი და 250 ზოგადი პრაქტიკის ექთანი; მიმდინარეობს 150 ექიმისა და ექთნის გადამზადება;

2007 წელს დაგეგმილია მინიმუმ 500 ოჯახის ექიმისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნის გადამზადება;

მიმდინარე პროექტების ფარგლებში დონორი ინვესტიციების ოდენობა 2005-2006 წწ შეადგენს 3.4 მლნ. ლარს, ხოლო 2007-2008წწ_ 4.2 მლნ. ლარს.

სახელმწიფო ინვესტიციები 2007 წელს შეადგენს 7 მლნ ლარს. ეს მოიცავს პჯდ ექიმებისა და ექთნების, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების პერსონალის, აგრეთვე პჯდ მენეჯერების გადამზადებას.

1. პჯდ სისტემის ოპტიმიზაციის მეთოდოლოგიის განხილვა

1.1. რეგიონებში გამოყენებული GIS ოპტიმიზაციის პროცესი

საქართველოს ერგო სემაშვოს მოდელის შესაბამისად შექმნილი ჯანდაცვის საბჭოური სისტემის მემკვიდრეობა, რომლის მახასიათებელს წარმოადგენდა ამბულატორიული დაწესებულებების ჭარბი ქსელი. ჯანდაცვის სისტემამ, ამბულატორიებთან ერთად, დაშლა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე და დაშლის თანმდევი ეკონომიკური და გარდაქმნამდე დაიწყო. ეკონომიკურმა სირთულეებმა, რომელთა შედეგად სიღარიბის მაჩვენებელმა 40–45%-ს³ მიაღწია, ხოლო დაწესებულებები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, გამოიწვია ამბულატორიების მომსახურებათა უტილიზაციის შემცირება ისე, რომ საქართველოში ექიმთან ვიზიტი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა მხოლოდ 1.4 – 1.9-ს. რაც 6-ჯერ ნაკლებია იგივე მაჩვენებელზე დასავლეთ ევროპაში, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომელთაც, ასევე, ჯანდაცვის საბჭოური მოდელი⁴ ერგოთ მემკვიდრეობით, აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია. ვიზიტების მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე სამედიცინო დაწესებულებების სტატისტიკური ანგარიშგების სერიოზული ნაკლოვანებების გამო ზუსტი არ არის, რაც ქვეყნის მასშტაბით ჯანდაცვის სტატისტიკური მონაცემთა ბაზის დეფიციტს ქმნის. იგივე იქნა დადასტურებული როგორც საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მუშაკების, ასევე საერთაშორისო კონსულტანტების მიერ; მიუხედავად მონაცემთა დაბალი ხარისხისა, სამედიცინო მომსახურების უტილიზაციის გაზრდის ვარაუდის საფუძველი არ არსებობს

ამგვარ პირობებში, მიმდინარე კვლევები ჯანდაცვის რეფორმის პროცესში, რომლებიც დაფინანსებული იქნა DFID-სა და EC-ის მიერ, არ იქნა მიმართული მოთხოვნის ანალიზისაკენ, რომელიც PHC მომსახურებების საჭიროებების განსაზღვრის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს. აღნიშნულ კვლევებში გამოყენებული მიდგომა, მდგომარეობდა იმის დაფიქსირებაში, რომ ამბულატორიების არსებული ქსელი მართლაც რომ ღირებული რესურსია, რომელსაც, მომსახურებების გაწევის თვალსაზრისით, რაციონალიზაცია და გარდაქმნა ესაჭიროება. სამინისტროს მიერ არსებული ქსელის რაციონალიზაციისათვის შერჩეული იქნა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემაზე დამყარებული პროგრამა, რომლითაც სემუშავდა არსებული დაწესებულებების ოპტიმიზაციის სცენარები. სამედიცინო მომსახურების რეკონფიგურაციის სტრატეგია მდგომარეობს საოჯახო მედიცინის, როგორც PHC მომსახურების საფუძვლის, შემოღებაში.

GIS ოპტიმიზაციის პროცესი იკვლევს სოფლების კონფიგურაციას, სადაც PHC დაწესებულებები არსებობს და ითვლის, მოსახლეობის რა რაოდენობას მოიცავს მგზავრობის ესა თუ ის დრო, მაგალითად, მოსახლეობის « N » პროცენტს შეუძლია არსებულ დაწესებულებაში მისვლა « T » წუთში. ამის შემდეგ ხდება კონფიგურაციის ოპტიმიზება დაწესებულებების ამოღებით ისე, რომ დაფარვის პროცენტული მაჩვენებელი უცვლელი რჩება. ამა თუ იმ დაწესებულებებისათვის,

³ OPM. სამუშაო დოკუმენტი 1: სამუშაო ძალის ხარჯთაღრიცხვის მოდელი კახეთის რეგიონისათვის. ასევე, გაბუნია თ., დინეკი ვენეკამა დ. და უჩანეიშვილი მ. ოფიცინების დოკუმენტი პირველადი მოვლის მომსახურების მოდელი კახეთისათვის. 2004.

⁴ მბ-ის ცნობა ჯანდაცვის ფინანსური მექანიზმების რეორგანიზაციის თაობაზე, 11.18.2005;

ასევე, შესაძლებელია « იმპერატივის » გამოყენება, რომელიც პროგრამას აიძულებს, მიიღოს ან უარყოს მოცემული დაწესებულება.

როგორც ინსტრუმენტი, GIS სისტემის გამოყენების ეფექტურობა განისაზღვრება შემუშავებული ალგორითმის მიხედვით და ასევე იმით, თუ რა სახით გამოიყენება იგი ოპტიმიზაციის შედეგის მიღწევისათვის. შერჩეული მიდგომა შემდეგში მდგომარეობდა :

- ოპტიმიზაციის ალგორითმის მათემატიკური შემოწმების მეშვეობით GIS კომპიუტერული პროგრამის გამოყენების ზღვრების დადგენა;
- მიღწევის პერიოდის გაზომვისთვის იმ საიმედო მონაცემების გამოყენება, რომლებიც მიღებული იქნა სავსე სამუშაოების შესრულებისას;
- მაღალმთიანი რეგიონების შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის გამოყენება, რათა გარანტირებული იქნას რთული მიღწევადობის პირობებში კონკრეტული პრობლემის მოგვარება;
- მგზავრობის 15, 20, 25 წუთიანი პერიოდის პარამეტრების სტატისტიკური ინტერპრეტირება, ვინაიდან მიღწევადობის დრო არ წარმოადგენს ფიქსირებულ პარამეტრს, რომელიც თითოეულ მაცხოვრებელს შეეფერება;
- ოპტიმიზაციის მოდელირების პროცესის ადაპტირება დაწესებულებათა დამატებისა თუ პირიქით, გაუქმების მიზნით;
- ყურადღების გამახვილება არსებული და დაგეგმილი დაწესებულებებით მოსახლეობის მოცვის (დაფარვის) ხარისხზე;
- საჭიროებისამებრ, რეკომენდაციების გაწევა დაწესებულებათა არა მარტო გაუქმების, არამედ დამატების თაობაზე;
- შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რომ GIS ოპტიმიზაციის შედეგები ქმნის საწყის ბაზას განხილვებისთვის და აქედან გამომდინარე:
 - ოპტიმიზაციის შედეგების შემდგომი განხილვა ადგილობრივი მოსახლეობასთან და რეგიონების წარმომადგენლებთან.

ოპტიმიზაცია ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა სამ ეტაპად :

პირველი ეტაპი : არსებული ოპტიმიზაციის სცენარი

- ყველა ამბულატორიული დაწესებულებისა და დასახლებული პუნქტის იდენტიფიცირება;
- მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს გეოგრაფიულად დაშორებული სოფლებისათვის მომსახურებების მიწოდებას;
- მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინება, ანუ, თუ მოსახლეობის რიცხვი აღემატება 2000–ს, შენარჩუნებული უნდა იქნას არსებული დაწესებულება, თუ აღნიშნული რიცხვი ნაკლებია 250–ზე, მოცემული დაწესებულება გაუქმებული უნდა იქნას;
- ოპტიმიზაცია 15, 20, 25 და ა.შ. წუთიანი მიღწევის დროის მიხედვით;
- მგზავრობის დროის სტატისტიკური კვლევა გეოგრაფიული არეალის მიხედვით.

მეორე ეტაპი : თეორიული სცენარი და შედარება პირველ ეტაპთან.

- თეორიული სცენარის მოდელირება, რომელიც იწყება იმ დასახლებებით, სადაც PHC დაწესებულება არსებობს, შემდეგ – ოპტიმიზაცია დროის სხვადასხვა

ინტერვალების მიხედვით პირველი ეტაპის შედეგებთან მაქსიმალური მიახლოების მიზნით ;

- მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონისა და მიღწევადობის პერიოდების დიფერენცირება ;
- შედეგების შედარება პირველ ეტაპთან იმის გასარკვევად, მიუთითებს თუ არა თეორიული სცენარი PHC დაწესებულების დამატების პოტენციურ საჭიროებაზე.

მესამე ეტაპი : რეალობის შემოწმება.

- თითოეული რაიონის ჯანდაცვის სამსახურისებისა და სამედიცინო პერსონალისთვის შედეგების წარმოდგენა;
- შედეგების განხილვა რეგიონების მიხედვით, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით კორექტივებისა და შესწორებების შეტანით ;
- საჭიროებისამებრ, სხვადასხვა მოდელების განხილვა კონკრეტული ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ;
- პოზიციათა კონსენსუსის მიღწევა ადგილობრივ წარმომადგენლებთან დაწესებულებათა დამატებასა და გაუქმებასთან დაკავშირებით.

ოპტიმიზაციის პროცესი ითვალისწინებს არა მხოლოდ არსებული დაწესებულებების რიცხოვნობის შემცირებას, არამედ დაწესებულების დამატებას იქ, სადაც ეს აუცილებელია. ამის საჭიროება გამოვლინდა 16 თემში, სადაც ამჟამად პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება არ ფუნქციონირებს.

1.2. GIS მოდელის დაშვებები

GIS სისტემა იღებს გარკვეულ გამამარტივებელ დაშვებებს გეოგრაფიული რეალობის ასახვის მიზნით, იგულისხმება : სოფლები და დაბები განიხილება როგორც ნულოვანი ზონა. ეს ნიშნავს, რომ GIS ნულოვან სამგზავრო დროს აწესებს PHC დაწესებულებამდე მათთვის, ვინც მოცემულ თემში ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ მგზავრობის აღნიშნული დრო შეიძლება შედარებით ხანგრძლივი იყოს. GIS, ასევე, ადგენს დაწესებულებათა რიცხვს – 1/თითოეულ დასახლებულ პუნქტზე, ანუ, გამოყოფილი არ არის ერთი თუ ერთზე მეტი დაწესებულება თითო სოფელსა თუ დაბაში. ამგვარი გამარტივება გულისხმობს, რომ ოპტიმიზაციის შედეგზე ზეგავლენას არ ახდენს არც დაწესებულებათა რიცხვი ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში, არც მგზავრობის დრო ამ დასახლებული პუნქტის ფარგლებში. ზემოაღნიშნულის გამო გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების არსებული ინსტრუმენტი გამოუსადეგარია დიდ ქალაქებში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა წსელის დაგეგმვისთვის.

1.3. მეთოდოლოგიის მისადაგება რეგიონების თავისებურებებთან

ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით რიგ შემთხვევებში მოხდა მეთოდოლოგიის მოდიფიცირება.. კერძოდ, იქ, სადაც მოსახლეობის დაფარვა არსებული დაწესებულებებით ძალზედ მაღალი იყო, მეორე ეტაპის თეორიული მოდელირება – დაწესებულებების პოტენციური დამატება – არ განხორციელებულა. სხვა სახის მოდიფიცირება განხორციელდა სამ კატეგორიად.

მოდულიზირების პირველი კატეგორია მოიცავს სამინისტროს მიერ მიღებულ მიღწევის 15 წუთიანი პერიოდის სტანდარტს. რაჭა-ლეჩხუმში, მაღალმთიან პირობებში, 15 წუთიანი პერიოდი არარეალურია იმ მრავალი დაწესებულების შენარჩუნების გარეშე, რომელსაც ექნებოდა მომსახურების გაწევის შეზღუდული შესაძლებლობა (მომსახურებოდა მხოლოდ ათეულობით კომლს). ამ შემთხვევაში მიღწევის სტანდარტი გაზრდილი იქნა 20 წუთამდე. შედეგად, რეკომენდებული იქნა 11 ახალი დაწესებულება 20-წუთიანი მიღწევით – ნაცვლად 15 ახალი დაწესებულებისა 15-წუთიანი მიღწევით.

მოდულიზირების მეორე კატეგორია უკავშირდება მოსახლეობის რაოდენობის შედარებით დაბალ ზღვარს, თუ მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს მაღალმთიანი რელიეფი. იმერეთის მთიან არეალში მოსახლეობის რაოდენობის ზღვარი განისაზღვრა 10 თემამდე და შევინარჩუნეთ არსებულ დაწესებულებები, რომლებიც მოსახლეობის მცირე რაოდენობის გამო (500 მოსახლე) გაუქმებული იყო კომპიუტერული ოპტიმიზაციის შედეგად. არსებული დაწესებულებები შენარჩუნდება სამედიცინო პუნქტების სახით, რომლებიც დაკომპლექტდება ბეზიქალებით და ადმინისტრაციულად დაუკავშირდებიან უახლოეს პირველადი ჯანდაცვის ცენტრს. ამ მიდგომით ხერხდება 15-წუთიანი მიღწევის « ზონაში » მოსახლეობის მოცვის გაუმჯობესება.

მესამე კატეგორია მოიცავს ადგილებზე ჯანდაცვის პროფესიონალებთან, თემის წარმომადგენლებთან და ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ სამსახურებთან კონსულტაციების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. კონსულტაციების საფუძველზე, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით შეიცვალა კომპიუტერული პროგრამით მიღებული ზოგიერთი შედეგი მაგალითად, ქვემო-ქართლში რამოდენიმე დაწესებულების გაუქმებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი ცვლილება უკავშირდებოდა მოსახლეობის გადანაწილებას დაწესებულების დაგეგმილი ლოკაციიდან იმ ლოკაციაში, რომელიც ასახავს მოსახლეობის სატრანსპორტო, სავაჭრო და სხვა ყოველდღიურ საჭიროებასთან დაკავშირებულ გადაადგილებას. სხვა შემთხვევაში ცვლილება ასახავდა ადგილობრივი თემის სურვილს იმ დაწესებულებების ადგილმდებარეობის თვალსაზრისით, სადაც კერძო ამბულატორია არსებობდა.

1.4. « მიღწევის პერიოდის » როგორც ოპტიმიზაციის პარამეტრის შეზღუდვები

წინამდებარე გენერალურ გეგმაში წარმოდგენილი ოპტიმიზაციის შედეგები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მოსახლეობის რაოდენობაზე, განაწილებასა და არსებული გზების მდგომარეობაზე. ამ მხრივ მომხდარი ცვლილებები, ცხადია, რამდენადმე შეცვლის ოპტიმალური განთავსების სცენარს, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის მოძრაობა/მიგრაცია, ზანგრძლივი პროცესია მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში არსებითი გადახრა გეგმის ამოცანებიდან მოსალოდნელი არ არის.

სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი გზების გაუმჯობესებისთან დაკავშირებული პროგრამების შედეგები ბევრად უფრო პროგნოზირებადია. ეს პროგრამები უშუალო ზეგავლენას მოახდენენ ჩვენს რეკომენდაციებზე⁵. ჩვენთვის ცნობილია, რომ მთავარი გზების აღდგენა ყველა რაიონულ ცენტრს შორის დაგეგმილია ახლო მომავალში. ეს გააუმჯობესებს პირველადი ჯანდაცვის ცენტრებამდე მოსახლეობის მიღწევის დროს და აქედან გამომდინარე, ზეგავლენას მოახდენს წარმოდგენილ რეკომენდაციებზე PHC დაწესებულებათა ოპტიმალური განთავსების თაობაზე.

⁵ მაგალითად, იმერეთის ორი გზიდან ერთ-ერთი აღდგენილი იქნა კვლევის პერიოდში და მგზავრობის პერიოდი მათ შორის გახდა 8 წუთი, რის შედეგადაც ერთი PHC-ის მიერ მომსახურების გაწევა ორივე თემისათვის შესაძლებელი გახდა დაფარვის პროცენტული მაჩვენებლის შეცვლის გარეშე.

კარგი გზა უფრო სწრაფი მიღწევადობის საშუალებას იძლევა, ეს კი განაპირობებს PHC განთავსების განსხვავებულ კონფიგურაციას და/ან წინამდებარე ანგარიშში მოცემულ რეკომენდებულზე ნაკლები რაოდენობის დაწესებულებების აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია იმ სახელმწიფო გეგმებისა და მათი განხორციელების მონიტორინგი და მათზე სათანადო რეაგირება, რომლებიც დაკავშირებულია გზების დაგეგმვით აღდგენით სამუშაოებთან.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების არსებული ინსტრუმენტით შესაძლებელია კონფიგურაციების სწრაფი რე-მოდელირება მიღწევადობის იმ ახალი მონაცემების მიხედვით, რომლებსაც განაპირობებს ახალი გზები. რემოდელირების პროცესს გააიოლებს პჯდ ცენტრების მშენებლობა სტანდარტული პროექტების მიხედვით. ეს გამოირიცხავს დროის დამატების საჭიროებას ინდივიდუალური პროექტების შემუშავებისთვის, მაგრამ, მშენებლობამდე, მაინც მოითხოვს ადგილობრივი და საინჟინრო ანალიზის ჩატარებას.

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროცესში ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტიციაა გზების აღდგენა და აქედან გამომდინარე-მიღწევადობის მაჩვენებლის გაზრდა, რაც მოსახლეობის უკეთ მოცვისა და პჯდ ფიზიკური ინფერასტრუქტურის რიცხოვნობის შემცირების საშუალებას მოგვცემს.

1.5. რაციონალიზაცია ქალაქებში

ქალაქებში პირველადი ჯანდაცვის სამსახურების დაგეგმვა გეოგრაფიული სისტემების გამოყენებით არ ხერხდება. გენერალური გეგმის ამოცანა ამ ტიპის დასახლებებში მიმართულია რაციონარული ზომის ჯგუფური პრაქტიკების ჩამოყალიბებისკენ. ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს მაღალეფექტური პროფესიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ზრდის მიმდინარე და კაპიტალური დაბახარჯების რენტაბელურობას.

თბილისში, პირველადი ჯანდაცვის თითოეულ ობიექტზე სამიზნე მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება 20 000 მოსახლით. თუმცა, პირველადი ჯანდაცვის განვითარების მოცემულ ეტაპზე, სამიზნე მოსახლეობის ქვედა დონეს 20,000 პაციენტის განსაზღვრა მიუღებელია ის რეგიონული ცენტრების შემთხვევაში, რომლებიც თბილისთან შედარებით ბევრად პატარებია. დატვირთვა რეგიონულ ცენტრებში/ქალაქებში სასურველია აღემატებოდეს 30 000 მოსახლეს თითოეული პჯდ ობიექტისთვის.

თბილისის გარდა, საქართველოს ექვსი ქალაქში : ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ზუგდიდი, გორი და ფოთი, რომელთა მოსახლეობის რიცხვი 30,000-ს აღემატება, ჩამოყალიბდება ჯგუფური პრაქტიკები. ამ ქალაქებში, რომელთა მოსახლეობა 30,000-ს აღემატება, ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდებას, მათ შორის არის : კერძო მიმწოდებლები, უწყებრივი სამედიცინო დაწესებულებები და სპეციალური დაწესებულებები, რომლებიც ემსახურებიან მხოლოდ IDP-ს და რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფო ამბულატორიული დახმარების პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებებს. თუ ჩვენ გამოვიყენებთ კრიტერიუმს – ერთი შენობა ჯგუფური პრაქტიკის PHC დაწესებულებაზე 30,000 მოსახლეზე და გავითვალისწინებთ რუსთავისა და ქუთაისისათვის დამახასიათებელ მოსაზრებებს, მაშინ, ამ ექვს ქალაქში არსებული 29 დაწესებულება შეიძლება კონსოლიდირებული იქნას 17 ჯგუფური საექიმო პრაქტიკის PHC ცენტრად.

რუსთავში რჩება 2 დაწესებულება, მაგრამ თითოეული მათგანი მოემსახურება 60,000 ადამიანს. ქუთაისში რჩება 5 დაწესებულება – ადგილობრივი მმართველობის რეკომენდაციის შესაბამისად,

რომელიც მიღებული იქნა მთელი რეგიონის მოსახლეობისათვის მომსახურების ორგანიზაციის ტიპის მიხედვით დაწესებულებების განაწილების ღრმა ანალიზის შედეგად (ცხრილი. 1).

ცხრილი 1 ქალაქები, რომელთა მოსახლეობის რიცხვი აღემატება 30,000-ს და რომლებშიც არსებობს პირველადი ჯანდაცვის მომსახურების გამწვევი რამდენიმე დაწესებულება.

	მოსახლეობა	PHC დაწესებულებების რიცხვი	რეკომენდებულ PHC დაწესებულებათა რიცხვი
აჭარის არ			
ბათუმი	122,413	6	4
იმერეთი			
ქუთაისი	186,937	10	5
ქვემო ქართლი			
რუსთავი	116,175	2	2
შიდა ქართლი			
გორი	49,522	5	2
სამეგრელო – ზემო სვანეთი			
ზუგდიდი	68,894	3	2
ფოთი	47,199	3	2
სულ*		29	17

* გარდა ამბულატორიული დაწესებულებებისა თბილისში, სპეციალური პოლიკლინიკებისა, რომლებიც ემსახურებიან მხოლოდ IDP მოსახლეობას და დაწესებულებებისა, რომლებიც არ მონაწილეობენ ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამაში კერძო დაწესებულებები, დაწესებულებები, რომლებიც განეკუთვნებიან საწარმოებს, სამხედრო და სხვა ორგანოებს (მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პოლიკლინიკა, ზუგდიდის ქალაქის ქარხნის პოლიკლინიკა, ბათუმის საზღვაო პოლიკლინიკა და სხვ.).

ანალოგიური კონსოლიდაცია მოხდება იმ დასახლებებში, რომელთა მოსახლეობის რიცხვი ნაკლებია 30,000-ზე, და სადაც ფუნქციონირებს რამდენიმე პჯდ დაწესებულება შეიქმნება ერთი ჯგუფური საექიმო პრაქტიკის ცენტრი. შედეგად, არსებული 22 დაწესებულება შეიძლება კონსოლიდირებული იქნას 11-ად. (ცხრილი. 2)

ცხრილი 2 დასახლებები, რომელთა მოსახლეობის რიცხვი ნაკლებია 30,000-ზე და რომლებსაც გააჩნია პირველადი ჯანდაცვის მომსახურებათა გამწვევი რამდენიმე დაწესებულება.

	მოსახლეობა	პჯდ დაწესებულებების რიცხვი	რეკომენდებულ პჯდ დაწესებულებათა რიცხვი
აჭარის არ			
ხულო	1,143	2	1
ქობულეთი	16,300	2	1
იმერეთი			
ტყიბული	14,464	2	1
სამტრედია	33,223	2	1
ზესტაფონი	25,755	2	1
სამეგრელო			
ჯვარი	4,794	2	1

სენაკი	28,082	2	1
სამცხე-ჯავახეთი			
ბორჯომი	14,445	2	1
ქვემო ქართლი			
ბოლნისი	9,947	2	1
გარდაბანი	11,847	2	1
შიდა ქართლი			
ხაშური	28,884	2	1
სულ		22	11

2. რეკომენდაციები პირველადი ჯანდაცვის ქსელის განვითარებასთან დაკავშირებით

2.1. რეგიონებში ოპტიმიზაციის პროცესის შედეგები

რეგიონებში არსებული შეფასებული 912 ამბულატორიიდან ოპტიმიზაციის პროცესის შედეგად გაუქმებული იქნა 202 დაწესებულება, ხოლო შემდგომი რაციონალიზაციის პროცესის შესაბამისად კონსოლიდირებული იქნა 22 დაწესებულება ქალაქებში, შესაბამისად სულ გაუქმებული იქნა 222 დაწესებულება. ანალიზის შედეგად დაემატა 16 დაწესებულება. ოპტიმიზაციის საბოლოო შედეგი – 208 დაწესებულების შემცირება. მოსახლეობის არსებული რაოდენობისა და გზების მდგომარეობის გათვალისწინებით საქართველოს ყველა რეგიონში, თბილისის გარდა, მიზანშეწონილია 701 დაწესებულების რეაბილიტაცია. (ცხრილი 3). რეკომენდებული დაწესებულებების მდებარეობა მითითებულია დანართებში 1 და 6,

ცხრილი 3 PHC დაწესებულებათა რეკომენდებული რაოდენობა რეგიონების მიხედვით.

რეგიონი	დაწესებულებათა რიცხვი ოპტიმიზაციამდე	ოპტიმიზაციის შედეგად ამოღებულ დაწესებულებათა რიცხვი	ოპტიმიზაციის შედეგად დამატებულ დაწესებულებათა რიცხვი	რეკომენდებული ოპტიმიზებული PHC დაწესებულებათა რიცხვი	დაფარული მოსახლეობა დროის მიხედვით	სამიხედვით
აჭარის არ	62	6	3	56	90.6% 15 წუთში	I ფაზის ანგარიში 2005 წ. თებ.
იმერეთი	169	36	1	134	85.3% 15 წუთში	I ფაზის ანგარიში 2005 წ. თებ.
გურია	63	16	0	47	96.2% 15 წუთში	II ფაზის ანგარიში 2005 წ. ოქტ.
რაჭა-ლეჩხუმი	38	0	11	49	82.7% 15 წუთში	II ფაზის ანგარიში 2005 წ. ოქტ.
სამეგრელო	134	26	0	108	96.3% 15 წუთში	II ფაზის ანგარიში 2005 წ. ოქტ.
სამცხე-ჯავახეთი	69	3	1	67	89.9% 15 წუთში	II ფაზის ანგარიში 2005 წ. ოქტ.
ქვემო ქართლი	100	21	0	79	94.0% 15 წუთში	III ფაზის ანგარიში 2006 წ. იან.
მცხეთა-მთიანეთი	43	2	0	41	85.5% 15 წუთში	III ფაზის ანგარიში 2006 წ. იან.
შიდა ქართლი	75	24	0	51	93.5% 15 წუთში	III ფაზის ანგარიში 2006 წ. იან.
კახეთი	159	0	0	69	97% 15 წუთში	ევროკავშირის პუდ განვითარების გენერალური გეგმა
სულ*	912	134	16	701		

*შენიშვნა : კიდევ 12 დაწესებულება ოსეთის კონფლიქტის მოსაზღვრე ზონაში, სადაც მიღწევადობა შეფასებული არ ყოფილა და ამიტომ, აღნიშნული დაწესებულებები არ არის შეტანილი დროის მიხედვით დაფარვის კალკულაციებში. გამორიცხავს დაწესებულებებს თბილისში, მაგრამ სამეგრელოში მოიცავს ფოთის დაწესებულებებს, რომელიც ადმინისტრაციულად

დამოუკიდებელია და არ განეკუთვნება არცერთ რეგიონს. 701 რეკომენდებული დაწესებულება და სხვა მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია ცხ. 3-ზე, მოიცავს მე-2 ნაწილის ცხ. 1 და 2 კონსოლიდაციებს.

რეკომენდებული 701 დაწესებულება შეიძლება განიხილოს, როგორც PHC დაწესებულებათა სამი ტიპი : სოლო საოჯახის მედიცინის პრაქტიკა, ჯგუფური პრაქტიკა და სამედიცინო პუნქტი (იხ. ნაწილი 4). დაწესებულებათა ამ ტიპების განაწილება რეგიონების მიხედვით მოცემულია ცხ. 4. დეტალური ინფორმაცია მითითებულია დანართი 1-ში, რომელშიც განახლებულია ოპტიმიზაციის შედეგები და პერსონალით დაკომპლექტების რეკომენდაციები (იხ. დანართები).

ცხრილი 4 დაწესებულებათა რეგიონალური განაწილება მომსახურეობის ორგანიზაციის ტიპის მიხედვით ოპტიმიზაციის შედეგად

რეგიონი	სოლო ოჯახის საექიმო პრაქტიკის N	ჯგუფური საექიმო პრაქტიკების N	სამედიცინო პუნქტი N	სულ
აჭარის არ	18	38	0	56
იმერეთი	64	67	3	134
გურია	23	19	5	47
რაჭა-ლეჩხუმი	18	3	28	49
სამეგრელო	49	47	12	108
სამცხე-ჯავახეთი	41	19	7	67
ქვემო ქართლი	26	46	7	79
მცხეთა-მთიანეთი	22	11	8	41
შიდა ქართლი	18	30	4	51
კახეთი	20	38	11	69
სულ*	299	318	85	701

*გამორიცხავს 12 PHC დაწესებულებას ოსეთის კონფლიქტის მოსაზღვრე ზონაში, დაწესებულებებს თბილისსა და კახეთში. ფოთს აერთიანებს სამეგრელოში.

2.2. სტრატეგია თბილისისათვის

2.2.1. მიდგომები გადაწყვეტილების მიღებისა და გენერალური დაგეგმვისთვის

გენერალური გეგმა თბილისის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის დგას მნიშვნელოვნად დიდი კომპლექსურობისა და უზუსტობის წინაშე საქართველოს დანარჩენ ნაწილთან შედარებით. შედეგად, საქართველოს სხვა ნაწილებისათვის გამოყენებული ანალიტიკური მეთოდები თბილისისათვის შეუფერებელი ხდება.

ოპტიმიზაციისა და რაციონალიზაციის აქამდე განხილული მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იქნა საქართველოს სხვა რეგიონებისათვის, გამოუსადეგარია თბილისისათვის. GIS ოპტიმიზაციისათვის საჭირო მონაცემები არ არსებობს, ხოლო PHC დაწესებულებათა კონსოლიდაციის მეთოდი 30,000 მოსახლის მომსახურეობის მიზნით პირობითი და არაადეკვატურია თბილისში არსებული მომსახურეობების ფართო სპექტრის გათვალისწინებით.

პრინციპში, GIS ოპტიმიზაცია შეიძლება განხორციელდეს; თუმცა, ქალაქის მოსახლეობის განაწილების მცირემასშტაბის შემუშავების დავალება, თითოეული მიკრო ზონის მოსახლეობის განსაზღვრა და მონაცემთა GIS შეტანა უდიდეს ძალისხმევას, შესაბამის დაფინანსებასა და ერთწლიან მუშაობას საჭიროებს. აღნიშნული ამოცანა, ასევე, უაღრესად რთული შესასრულებელია, ვინაიდან მიკრო ზონის საზღვრები ცვალებადი იქნება, რაც მოითხოვს *ad hoc*

გადაწყვეტილებებს იმასთან დაკავშირებით, თუ სად გადის საზღვარი ცალკეული შემთხვევისათვის და სად იცვლება ეს საზღვარი დროის მიხედვით. ეს ყოველივე გამოწვეულია იმით, რომ თბილისის ქუჩების სტრუქტურა ცვალებადია, ხოლო მიღწევადობის პერიოდი ნებისმიერ ორ პუნქტს შორის შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან დღის პერიოდების მიხედვით – მთავარ საავტომობილო გზებზე მოძრაობის ინტენსივობის გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, მიკრო ზონის შემუშავებული სტრუქტურა არ იქნება სტაბილური მოკლედან საშუალო პერიოდშიც კი. თბილისის დინამური ქალაქია, რომლის მოსახლეობის დემოგრაფიული და ურბანული სტრუქტურა შედარებით სწრაფად ცვალებადია. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით PHC გენერალური დაგეგმვა თბილისისათვის საჭიროებს ინფორმირებულობას ურბანული განვითარების გეგმების შესახებ – ინფორმაცია ქალაქის ურბანული გენერალური გეგმიდან, რომელიც მიუთითებს ქალაქის განაშენიანების ზონებად დაყოფას გეოგრაფიულ მიმართულებების შესაბამისად, და აქედან გამომდინარე განსაზღვრავს, თუ სად და რა ხარისხით იქნება დაშვებული მოსახლეობის ზრდა. ამგვარი ინფორმაცია მიუთითებს, თუ სად იქნება მოსახლეობის ზრდის ცენტრები და სად იქნება საჭირო მომსახურებათა გაწევა მომავალში. აღნიშნული ინფორმაცია აუცილებელია PHC მომსახურებათა დაგეგმვისათვის. თუმცა, თბილისისათვის ურბანული გენერალური დაგეგმარების კონცეფცია საზოგადოებრივ დისკუსიებში მხოლოდ ამ უკანასკნელ პერიოდში წარმოიშვა და დიდი დრო დასჭირდება რეალიზაციისთვის.

თბილისს, ასევე, ემსახურება სამედიცინო მომსახურების მიწოდებელთა ფართო სპექტრი, მათ შორის მრავალი უზრუნველყოფს პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდებას, მაგ საავადმყოფოების შესაბამისი განყოფილებები – Out Patient Departments (OPD), (ცხრილი 5). მიწოდებლებს შორის არიან ინდივიდუალური ექიმები და PHC ცენტრები, როგორცაა საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი, საავადმყოფოები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც კი. აღნიშნული პროვაიდერები პროცესის მონაწილეები ხდებიან და შედეგად ზეგავლენას ახდენენ ქალაქში PHC გენერალურ დაგეგმვაზე. ისინი შეადგენენ ჯგუფებს განსხვავებული ინტერესებით, რომლებიც კარგად არიან ინფორმირებული ჯანდაცვის მომსახურებების მოწოდების შესახებ და გააჩნიათ ძალა და უნარი, გამოხატონ საკუთარი აზრები და რიგ შემთხვევებში დაიცვან ისინი. ფართო საზოგადოება, PHC მომსახურებათა მომხმარებლებიც, ასევე, მონაწილეობენ დაგეგმვის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ფართო საზოგადოების წევრები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების საკითხებთან დაკავშირებით, ისინი შეადგენენ მნიშვნელოვანი ინტერესის ჯგუფებს, რომლებიც შეიძლება საკმაოდ მომთმენნი აღმოჩნდნენ იმ სპეციფიური გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც მათთვის მომსახურების ხელმისაწვდომობაზე ახდენს ზეგავლენას, მაგალითად, მათთან ახლოს მდებარე PHC ცენტრის შენარჩუნება ან მისი გაუქმება.

ცხრილი 5 დაწესებულებები თბილისში, რომლებიც უზრუნველყოფენ პირველად ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას

ემსახურება საერთო მოსახლეობას	ემსახურება სპეციალურ მოსახლეობას	საავადმყოფო ამბულატორიული მომსახურება
• მოზრდილთა 24 პოლიკლინიკა (8 – პრივატიზებულია) ; • ბავშვთა 17 პოლიკლინიკა (6 – პრივატიზებულია) ; • 13 ზოგადი პოლიკლინიკა (1 – პრივატიზებულია).	• 20-მდე სპეციალური პოლიკლინიკა თბილისში (რკინიგზის, აეროპორტის, თავდაცვის სამინისტროს, პოლიციის, და სხვ. მუშაკები და ოჯახები) ; • 3 IDP პოლიკლინიკა.	• 50-მდე ბავშვთა, მოზრდილთა და სპეციალიზებული საავადმყოფო OPD-ით.

გარდა ამისა, ასევე, არსებობს სხვა სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ PHC გენერალურ გეგმაზე. მიმდინარე საავადმყოფოთა სექტორის რაციონალიზაციის გენერალური გეგმა, რომლის დასრულება დაგეგმილია 2006 წლის შუა პერიოდში, მნიშვნელოვან კონტექსტს ქმნის პირველადი ჯანდაცვის დაგეგმვისთვის და უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ქალაქში PHC მომსახურებების განაწილებისა და მიწოდების შესახებ. მთავრობის ამ უკანასკნელი პერიოდის გადაწყვეტილება, სასწრაფო-გადაუდებელი დახმარების მოთხოვნისამებრ უფასო გამოძახების შესახებ, ასევე, ზეგავლენას მოახდენს თბილისში PHC დაწესებულებების განვითარებისა და რეაბილიტაციის გეგმებზე.

მაშინ, როდესაც ანალიტიკური მეთოდები გამოუსადეგარია გადაწყვეტილების მიღებისათვის საკითხის კომპლექსურობის გათვალისწინებით შესაძლებელია სხვა მოდელების გამოყენება, მათ შორის :

- მინიჭებული უფლებამოსილება – კანონმდებლობისა და მმართველი ხელისუფლების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მაგალითად სამინისტროს გადაწყვეტილებით ინფორმირებული დასკვნების საფუძველზე;
- წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არჩეული საბჭოების, პარლამენტის გადაწყვეტილებით, რომლებიც ხალხის სახელით მოქმედებენ, დისკუსიების, დებატებისა და კენჭისყრის საფუძველზე;
- სასამართლო უფლებამოსილება – მოსამართლეების მიერ, კანონის საფუძველზე, დაპირისპირებულ მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტების მოსმენის შემდეგ;
- მოლაპარაკება – უფლებამოსილება-მინიჭებულ მხარეებს შორის, ალტერნატიული პოზიციებისა და საკითხების განხილვისა და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე, რომელიც ასახავს მათ ინტერესებს, რომლებსაც წარმოადგენს თითოეული მხარე, მაგალითად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა – რომელიც მოქმედებს საქართველოს მთავრობის სახელით – და თბილისის მუნიციპალურ მთავრობას შორის;
- კონსენსუსი ექსპერტებს შორის – აღიარებული ავტორიტეტის მქონე ექსპერტების მიერ გაკეთებული დასკვნა საკითხთა ობიექტური შემოწმების, დებატებისა და ინფორმირებული საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნა კონსენსუსით;
- საზოგადოებრივი კონსენსუსი –უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელიც გამოხატავს საზოგადოების აზრს, ღია საზოგადოებრივი მოსმენებისა და მთავარი ინტერესის ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფით;
- კონკურსის გზით – უსაზღვრო ორგანოს მიერ, თანასწორი პირობებისა და გამჭვირვალე გარემოს უზრუნველყოფის გზით მაგალითად, კონკურსი და კონკურსის გამარჯვებულის დასახელება ერთობლივად – სამინისტროსა და თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ.

მინისტრს შეუძლია მანდატირებული უფლებამოსილების გამოყენება და ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გაკეთდეს თბილისში. ჩვენი აზრით, ეს იქნებოდა წარსული პერიოდის ავტორიტარული რეჟიმში დაბრუნება. ასევე, ჩვენ არ ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ ქალაქის მთავრობა და პარლამენტი საუკეთესო მამოძრავებელი ძალაა PHC დაგეგმვის საკითხებთან დაკავშირებით თუმცა, მათი როლი საკანონმდებლო ბაზისა და საკანონმდებლო ნორმების შექმნაში მათ უფლებას აძლევს, წამოაყენონ ის ნებისმიერი საკითხი მათი ამომრჩევლის სახელით რომელიც, მათი აზრით, ყურადღების ღირსია და რომ, ბოლოს, მათ შესაძლოა, დაგეგმვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე საკუთარი აზრის გამოხატვა და ამ გადაწყვეტილების რატიფიცირება

მოეთხოვოთ. ასევე, ჩვენ არ ვთვლით, რომ PHC გენერალური დეგეგმვა წარმოადგენს სასამართლოებისა და იურისტებს შორის წარმართული ოპოზიციური არგუმენტების წამოყენების საგანს; თუმცა, ჩვენ ვაღიარებთ, რომ დაგეგმვისას მიღებული გადაწყვეტილებანი უნდა ექვემდებარებოდეს არსებულ, ან სათანადოდ მოდიფიცირებულ კანონებსა და რეგულაციებს.

ჩვენი აზრით, დედაქალაქში PHC გენერალური დაგეგმვის სტრატეგიაში შესაძლებელია დანარჩენი მიდგომების გამოყენება: მოლაპარაკება, კონსენსუსი ექსპერტებს შორის, საზოგადოებრივი კონსენსუსი, კონკურსი. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ მოლაპარაკება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რამდენადაც ამ უკანასკნელი პერიოდის კანონმდებლობა ითვალისწინებს დედაქალაქში ჯანდაცვაზე ერთობლივ პასუხისმგებლობას საქართველოს მთავრობასა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით და თბილისის მუნიციპალურ მთავრობას შორის.

გარდა ამისა, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ რომელი მიდგომაც არ უნდა იყოს გამოყენებული, მიღებული უნდა იყოს ინფორმირებული გადაწყვეტილება შემდეგი ტექნიკური საკითხების გათვალისწინებით, პირველი: ფიზიკური ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შეფასება, რომელიც იძლევა ინფორმაციას ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზანშეწონილობისა და კაპიტალური ხარჯების შესახებ; მეორე: გაანგარიშება, რომელიც მიუთითებს, რომ სახელმწიფო დაფინანსებით პირველადი ჯანდაცვის ცენტრი რენტაბელურია 20000 მოსახლეობის მოცვის "უდანაკარგო წერტილი" პირობებში, იმის გათვალისწინებით, რომ ერთი ექიმისა და ერთი ექთნისაგან შემდგარი გუნდი ემსახურება 2400 მოზრდილ მოსახლეს. მესამე – მიღწევადობის კარტოგრაფიული განსაზღვრა ურბანულ კონტექსტში.

ეფექტური გამოყენების მიზნით, ყველა ეს პროცესი უნდა იმართებოდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას ადექვატური გამჭვირვალობა და საზოგადოების მხრიდან რეაქციის გამოხატვის შესაძლებლობა.

2.2.2. პრინციპები, ალტერნატივები და სტრატეგია

იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რომელი PHC უნდა იქნას რეაბილიტირებული–აშენებული თბილისში, გთავაზობთ სამ–ნაწილიან სტრატეგიას :

a) პრინციპები

პირველი ნაწილი – თბილისში PHC სტრატეგიის საბაზო პრინციპების ჩამოყალიბება. ჩვენი რეკომენდაციით, თბილისში PHC გენერალური დაგეგმვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ათ პრინციპს :

1. აღიარება იმისა, რომ თბილისი, როგორც საქართველოს დედაქალაქი, PHC–ის ლიდერი და მთავარი რესურსი უნდა იყოს მთელი ქვეყნის მასშტაბით;
2. პირველად ჯანდაცვაში ინვესტიციების თანასწორი განაწილება დედაქალაქისთვის;
3. PHC განვითარება, როგორც ქალაქის მოსახლეობისათვის ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების მთავარი მაგისტრალი;
4. პირველადი ჯანდაცვის საუკეთესო პრაქტიკის ცენტრების შექმნა დედაქალაქში ინფორმაციის გავრცელების მიზნით ქვეყნის მასშტაბით;
5. მომსახურებათა მიმართვა სოციალურად დაუცველი ფენებისაკენ ;

6. PHC-ის დაკავშირება ქალაქის რაციონალიზებულ სავადმყოფო და სასწრაფო გადაუდებელ დახმარებასთან ისე, რომ შენარჩუნებული იქნას PHC პრიორიტეტულობა და განვითარება;
7. არსებული კერძო სექტორის იმ დაწესებულებათა შევსება, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალხარისხოვანი PHC მომსახურების გაწევას;
8. უზრუნველყოფა იმისა, რომ პაციენტებს შეუნარჩუნდეთ უფლება, თვითონ ამოირჩიონ ექიმები და PHC ცენტრები, რაც, თავის მხრივ, საბაზრო მექანიზმების ამოქმედებით ხელს შეუწყობს ეფექტურობისა და პროდუქტიულობის გაზრდას;
9. საზოგადოებასთან ადეკვატური კონსულტაციები და მისი თანამონაწილეობის უზრუნველყოფა ფასებისა და საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოლოდინის მართვის პროცესში;
10. მენეჯმენტის პრინციპებისა და მომსახურების მოწოდების მოდელის (რომელიც წინამდებარე ანგარიშშია რეკომენდებული) დანერგვა პერსონალის ისეთი გაფართოების მიზნით, რომ PHC ჯგუფში გაერთიანდეს იმდენი წევრი, რამდენიც მოცემულია 4.1.2 ნაწილის მე-8 ცხრილში.

ბ) რა ოდენობის ინვესტიცია არის საჭირო თბილისის PHC დაწესებულებათა განვითარებაში

სტრატეგიის მეორე ნაწილი – განსაზღვრა იმისა, თუ რა ოდენობის ინვესტიცია არის საჭირო თბილისის PHC განვითარებაში.

ქალაქში არსებული მომსახურების მომწოდებელთა ფართო სპექტრის პირობებში შეიძლება გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ პერიოდში არავითარი ინვესტიცია არის აუცილებელი. ერთ-ერთი საფუძველი ამგვარი გადაწყვეტილებისა იქნებოდა ის, რომ მთავრობამ პრიორიტეტი მიანიჭა რეგიონებს და განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებს, სადაც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროება ყველაზე მეტად არის გამოხატული. ჩვენ ამ მიდგომას უარყოფთ, რადგან იგი ეწინააღმდეგება სამ პუნქტს ზემოაღნიშნული პრინციპებიდან. იგი არ აღიარებს, რომ თბილისი უნდა იყოს PHC ლიდერი და მთავარი რესურსი მთელი ქვეყნისათვის. იგი არ არის სამართლიანი. იგი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ თბილისში PHC ჩამოყალიბდეს ჯანდაცვის მთავარ მაგისტრალად. ინვესტიცია PHC სექტორში მხოლოდ რეგიონებში, სოფლად მიუთითებს იმაზე, რომ PHC მხოლოდ რეგიონებისთვის არის გათვალისწინებული და რომ ნამდვილად კარგი მკურნალობა მხოლოდ თბილისში არის შესაძლებელი და რომ საზოგადოების მიერ იგი აღიქმება მეორე და მესამეხარისხოვან მომსახურებად.

სამართლიანი მიდგომა PHC რეაბილიტაცია-მშენებლობაში ინვესტირებისადმი წარმოადგენს რეგიონების PHC ინვესტირების კალკულაციას ერთ სულ მოსახლეზე და მის გამოყენებას თბილისის მოსახლეობისათვის. ეს თანხა შემდეგ გამოყენებული იქნება იმის განსაზღვრისათვის, თუ რა ოდენობა უნდა მოხმარდეს თბილისის და სადაც და რა უნდა იქნას აშენებული. სამართლიანი ინვესტიციის თანხა შეიძლება შემოწმდეს იმ ტექნიკური ინფორმაციის მიხედვით, რომელიც მიღებულია არსებულ დაწესებულებათა ფიზიკური შეფასებიდან.

მაგალითად, აჭარისა და იმერეთის გამოცდილების საფუძველზე, 606 სოფლის დაწესებულების (635 რეგიონალურს გამოკლებული 29 პატარა ურბანული დაწესებულება) რეაბილიტაცია-მშენებლობისა და კომისიონირების საშუალო ხარჯი შეფასებულია 46,000 აშშ დოლარად თითოეულ დაწესებულებაზე ე.ი. რეგიონებში/სოფლად ინვესტიციის საჭირო მოცულობა შეადგენს 27.876 მილიონი აშშ დოლარს. თბილისში, ჩვენი გათვლებით, 64,520 მ² ფართობი მოითხოვს რეაბილიტაცია-მშენებლობას (იხ. მომდევნო ნაწილი), რაც შეადგენს 19,356 მილიონი

აშშ დოლარის ოდენობის კაპიტალდაბანდებას, ერთ კვადრატულ მეტრზე საშუალოდ 300 აშშ დოლარის ხარჯის პირობებში და საშუალოდ 774,240 აშშ დოლარის ინვესტიციას ერთ დაწესებულებაზე. ეს ციფრი ბევრად მაღალია სოფლის პირობებთან შედარებით, რამდენადაც სოფლისგან განსხვავებით ურბანული დაწესებულებები ეწევიან დიდ ჯგუფურ და არა სოლო პრაქტიკას. რეაბილიტაცია-მშენებლობის ხარჯი ერთ კვადრატულ მეტრზე შედარებით პატარა ურბანულ ცენტრებში თბილისთან შედარებით დაბალია. თუ ჩავთვლით, რომ აღნიშნული ხარჯი ერთ კვადრატულ მეტრზე 200 აშშ დოლარს შეადგენს, საშუალო ინვესტიცია ერთ დაწესებულებაზე შედარებით პატარა ქალაქებში, სადაც, ასევე, დიდი ჯგუფური პრაქტიკებია, იქნება 516,160 აშშ დოლარი, სულ 29 პატარა ურბანული ცენტრებისათვის თბილისის გარეთ (და კახეთის გარდა) – 14.969 მილიონ აშშ დოლარი. სულ ინვესტიციები რეგიონებში, 635 რეკომენდებული დაწესებულებისათვის, შეფასებულია 42.845 მილიონ აშშ დოლარად (კახეთის გამოკლებით) ანუ 77.1 მილიონ ლარად. მოცული მოსახლეობის რიცხვი შეადგენს 2.881 მილიონს; აქედან გამომდინარე, ინვესტიცია ერთ სულ მოსახლეზე PHC დაწესებულების განახლებისათვის რეგიონებში შეადგენს დაახლოებით 15 აშშ დოლარს, ანუ 27 ლარს. მოცემული სიდიდეები შეიცვლება დეტალური კაპიტალური ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, დაწესებულებების მშენებლობის დასრულების შემდგომ, მაგრამ მეთოდოლოგია იგივე რჩება, რაც უზრუნველყოფს სამართლიანი ინვესტიციის პაკეტის გენერირებას.

სამართლიანობის კრიტერიუმის გათვალისწინებით და იმ მოსაზრების დასამკვიდრებლად, რომ PHC წარმოადგენს ჯანდაცვის პრიორიტეტულ მომსახურებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, თბილისში PHC დაწესებულებების განვითარების ინვესტიციის დონე არ უნდა იყოს 15 აშშ დოლარზე ნაკლები ერთ სულ მოსახლეზე. იმის განსამტკიცებლად, რომ თბილისი არის საქართველოში PHC მოდელისა და პრაქტიკის განვითარების ცენტრი, გამართლებულია ინვესტიციის უფრო მაღალი დონეც – კაპიტალური ან მიმდინარე, ან მათი კომბინირებული ხარჯების გათვალისწინებით.

გ) სად და რა უნდა აშენდეს თბილისში

სტრატეგიის მესამე ნაწილი – განსაზღვრა იმისა, თუ რა და სად უნდა აშენდეს თბილისში ინვესტიციების განაწილების პაკეტის ფარგლებში, რომელიც განხილული იქნა სტრატეგიის მეორე ნაწილსა და 9 რეგიონისათვის შემუშავებულ PHC გენერალურ გეგმაში მოცემული პრინციპებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ეს ინფორმაცია ეყრდნობა არსებული დაწესებულებების ფიზიკური შეფასების შედეგებს, რომელიც განსაზღვრავს რეაბილიტაციის მიზანშეწონილობისა და კაპიტალური დანახარჯების მიახლოებით მოცულობას, 20,000 მოსახლის მომსახურების «უდანაკარგო» წერტილის გამოყენებას და, ასევე, მიღწევადობის კარტოგრაფიულ შეფასებას ურბანულ კონტექსტში.

მე-6 ცხრილში მოცემულია ზემოაღნიშნული მიდგომების გამოყენების შედეგები.

თითოეული მიდგომა იმის განსაზღვრისათვის, თუ რა და სად უნდა იქნას აშენებული თბილისში, ხასიათდება გარკვეული რისკით, მათ შორის – რამდენად იოლია თითოეული მიდგომის განხორციელება და როგორ აღიქმება ის საზოგადოების მიერ სამართლიანობის თვალსაზრისით. თითოეული მათგანი მოითხოვს გამჭვირვალე პროცესს, რომელიც კარგად იმართება და რომელიც ინტეგრირებულია საზოგადოებრივი ინფორმირების ეფექტურ პროცესთან. თითოეული მათგანის უპირატესობას წარმოადგენს გამჭვირვალობა, ხოლო სხვადასხვა ხარისხის რისკს კი – მათი მითვისება დაინტერესებული ჯგუფების მიერ ან მათი პოლიტიზირება.

ცხრილი 6 თბილისში PHC მომსახურებათა გენერალური დაგეგმვის სტრატეგიები

